ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724198001
თარიღი:16/07/2024

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის ოქმი N-04**

**დ. ლენტეხი. 16 ივლისი 2024წ.**

**მიმდინარე წლის 16 ივლისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომა ესწრებოდა ბიუროს 11 ( თერთმეტი )წევრი.**

**ბიურო სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი. ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.**

1. **ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ**

/მომხს: ა (ა) ი პირის სასპორტო სკოლების გაერთიანების დირექტორი ზაქრო ხვისტანი/

2. **ა(ა)ი. პირის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: ა(ა) ი.პირის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი/

3. **საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.**

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი/

**შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.**

**დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:**

**მომხრე - 11**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი.**

1. **მოისმინეს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ შემოსულია მერიიდან ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიში შემოვიდა დაგვიანებით და განხილვა ვერ მოესწრო კომისიის სხდომაზე და**

**პირდაპირ გამოვიტანეთ ბიუროს სხდომაზე. მან მოკლე მიმოხილვა გააკეთა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ მიღწევები სპორტში საკმაოდ სერიოზულია, მაგრამ ბიუჯეტის სიმცირის გამო გაცემული ფასიანი პრიზები მიზერულია.**

**2. აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა ამირან ქურასბედიანმა - კარგი იქნება თუ წარმატებით განვითარდება სპორტის სხვა მიმართულებებიც. მაგალითად მეკლდეურობა, ალპინიზმი.**

**აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა- მურადი ჩანქსელიანმა - არ შემიძლია არ ავღნიშნო სოფ. ხელედის საჯარო სკოლაში ძიუდოს მწვრთნელის პაატა აფაქიძის თაქვდადებული შრომა, რომელიც შეუძლებელს აკეთებს იმისთვის, რომ გავიდეს დადებით შედეგზე.**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - აღნიშნული ანგარიშის საკრებულოს მორიგ სხდომაზე გატანის თაობაზე.**

**ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე - 11**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ მოსმენილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.**

**2.მოისმინეს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ შემოსულია მერიიდან ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ შემოსულია მერიიდან ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

**ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ჩაისვა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.**

**3. სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

**1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

**2. ა(ა)ი.პირის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუსაობის შესახებ**

/მომხს: ა (ა) ი პირის სასპორტო სკოლების გაერთიანების დირექტორი ზაქრო ხვისტანი/

**3. ა(ა)ი. პირის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: ა(ა) ი.პირის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი/

**შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა**

**ღია კენჭისყრით:**

**მომხრე -11**

**წინაარმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.ბიუროს სხდომა დასრულდა 13 საათზე.**

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი